გაცვლითი პროგრამა UC Leuven Limburg-ის უნივერსიტეტში

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი აცხადებს კონკურსს UC Leuven Limburg-ის უნივერსიტეტთან გაცვლითი პროგრამის ფარგლებში 2 სტუდენტის შესარჩევად.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ შესაბამისი პროფილის <u>საბაკალავრო და სამაგისტრო</u> პროგრამების სტუდენტებს.

<u>შენიშვნა:</u> გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ გაცვლაში მონაწილეობის მიღების მსურველ ბაკალავრიატის სტუდენტს დასრულებეული უნდა ჰქონდეს სწავლის ორი წელი, ხოლო მაგისტრატურის სტუდენტს ერთი სემესტრი;

კრედიტების აღიარება: UC Leuven Limburg-ის უნივერსიტეტში აღებული კრედიტების აღიარება მოხდება საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის შესაბამისი სასწავლო პროგრამის ფარგლებში.

<u>შენიშვნა:</u> გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ მასპინძელ უნივერსიტეტში სასურველი საგნების შესარჩევად სტუდენტებმა წინასწარი კონსულტაცია უნდა გაიარონ GIPA-ს შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელთან ან/და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.

ბელგიაში სწავლის ხანგრძლივობა:
ერთი სემესტრი (2021 წლის გაზაფხულის სემესტრი: თებერვალი - ივნისი, 2021)

ინგლისურენოვანი საგნების (წინასწარი) ჩამონათვალი იხილეთ ბმულში:

https://www.ucll.be/international/exchange-programmes/welcome-days-exchange-students/welcome-days-uc-leuven

Factsheet:

სასწავლო განრიგის, ლეუვენში ცხოვრების და ბინის დაქირავების საფასურთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულში:

https://www.ucll.be/international/exchange-programmes/welcome-days-exchange-students/welcome-days-uc-leuven

სწავლის საფასური:

UC Leuven Limburg-ის უნივერსიტეტთან გაფორმებული პარტნიორობის ფარგლებში, GIPA-ს სტუდენტებს არ მოუწევთ სწავლის საფასურის გადახდა. თუმცაღა, შერჩეულმა სტუდენტებმა უნდა დაფარონ GIPA-ში მიმდინარე სემესტრის სწავლის საფასური.

შენიშვნა: შერჩეულმა სტუდენტებმა თავად უნდა დაფარონ საერთაშორისო მგზავრობის, ცხოვრების, სავიზო მოსაკრებლისა და დაზღვევის ხარჯები!

საკონკურსო დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

- სამოტივაციო წერილი (ინგლისურ ენაზე, არაუმეტეს ერთი გვერდისა);
- ნიშნების ამონაწერი (ინგლისურ ენაზე, GPA-ის მითითებით);

დაინტერესებულმა სტუდენტებმა **ა/წ 28 სექტემბრის 16 საათამდე** უნდა გამოაგზავნონ საკონკურსო დოკუმენტაციის სრული ჩამონათვალი შემდეგ ელ-ფოსტაზე: n.bakradze@gipa.ge

სტუდენტთა შესარჩევი პროცესი:

- დოკუმენტაციის შემოწმება;
- გასაუბრება აპლიკანტთან ინგლისურ ენაზე;

შერჩევის კრიტერიუმები: 2 აპლიკანტი გამოვლინდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- მაღალი GPA
- ინგლისურ ენის ცოდნის მაღალი დონე
- აპლიკანტის მოტივირება

დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში დაგვიკავშირდით ელ-ფოსტის საშუალებით: n.bakradze@gipa.ge ან მითითებულ ნომერზე: 577 57 75 11

არასრული ან/და დაგვიანებული განცხადებები არ მიიღება!